1)

რამდენი კუბური დეციმეტრითაა მეტი 7 კუბური დეციმეტრი 240 კუბურ სანტიმეტრზე?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: _____

2)

თუკი ათწილადში 251,16 **მეათედის** აღმნიშვნელ ციფრს გავზრდით 2–ით, მივიღებთ რიცხვს:

ა) 251,18 გ) 253,16

ბ) 251,36 დ) 271,16

3)

$\frac{1}{4}+\frac{3}{8}$ უდრის

ა) $\frac{4}{12}$ გ) $\frac{5}{8}$

ბ) $\frac{4}{8}$ დ) $\frac{7}{4}$

4)

რიცხვები დაალაგეს ზრდადობით. რომელი პასუხია სწორი?

ა) 5,132; 5,1116; 5,11415 გ) 5,132; 5,11415; 5,1116;
ბ) 5,11415; 5,1116; 5,132 დ) 5,1116; 5,11415; 5,132

LIVEWORKSHEETS

5)

მშენებელი აშენებს აგურის კედელს. მან გადაწყვიტა აგურის ყოველ ფენას მიაწეროს ის რიცხვი რომელიც მიანიშნებს თუ რა სიმაღლეზე იმყოფება მიწიდან ეს ფენა.



რა რიცხვი უნდა დააწეროს მშენებელმა აგურის მეშვიდე ფენას, თუ მესამე ფენას უკვე აწერია 0,75მ?

ა) 1,25 მ ბ) 1,5 მ გ) 1,75 მ დ) 7 მ

6)

ჩაწერე რიცხვები ათწილადის სახით და შეავსე ცხრილი:

წილადი	ათწილადი
$\frac{3075}{100}$	
$\frac{3}{4}$	

7)

ჩაწერე უკვეცი წილადის სახით: $\frac{30}{75}$ =

LIVEWORKSHEETS

8)

ცხრილში ჩაწერე ათწილადები წილადის სახით:

ათწილადი	0,015	1,36
წილადი		

9)

რომელი უტოლობაა მცდარი?

ა) $\frac{1}{6} > \frac{1}{7}$ ბ) $0,5 > \frac{4}{9}$ გ) $\frac{20}{23} > \frac{23}{24}$ დ) $0,1 < \frac{1}{9}$

10)

მოცემულია ციფრები: 0; 1; 3; 5; 7; 9. ყველა ამ ციფრის გამოყენებით შეადგინე უმცირესი ექვსნიშნა რიცხვი.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

11)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოსახულების გამოყენება შეიძლება $5\frac{5}{8} : 0,5$ განაყოფის გამოთვლისათვის?

ა) $5 \cdot 2 + \frac{5}{8} \cdot 2$ ბ) $5 + (\frac{5}{8} : 0,5)$ გ) $5 \cdot 2 + \frac{5}{8}$ დ) $5 \cdot 0,5 + \frac{5}{8} \cdot 0,5$

LIVEWORKSHEETS

12)

რიცხვი 6,539 დაამრგვალე მეათედის სიზუსტით.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

13)

მოცემულია, რომ ნატურალური რიცხვის ნამრავლი უცნობ რიცხვზე ტოლია 1-ის. რომელია ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

I უცნობი რიცხვი ტოლია მოცემული რიცხვის მომდევნო რიცხვის;

II უცნობი რიცხვი ტოლია მოცემული რიცხვის წინა რიცხვის.

შემოხაზე სწორი პასუხი.

ა) ორივე ბ) არცერთი გ) მხოლოდ I

დ) მხოლოდ II

LIVEWORKSHEETS